შპს „ჯორჯიან ჯარგოს“ (402155190)
51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება

შპს „საქართველოს ფოსტასა“

და

აუქციონში გამარჯვებულს (მყიდველს)

შორის

თბილისი

2021

წილის ნასყიდობის ხელშეკრულება

„ ___“_____2021 **თბილისი**

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** (ს/ნ: 203836233), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი N2, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ლევან ჩიკვაიძის მიერ, (შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„გამყიდველი“ ან შპს „საქართველოს ფოსტა“**)

და

მეორე მხრივ, -- (ს/ნ:--), დაფუძნებული -- კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი:, --, წარმოდგენილი -- მიერ,

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი და პირადი ნომერი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„მყიდველი“ ან „აუქციონში გამარჯვებული“**)

გამყიდველი და მყიდველი შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„მხარეები“**, ხოლო თითოეული, როგორც **„მხარე“** ვთანხმდებით შემდეგზე:

პრეამბულა

ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს მთავრობას წარუდგინა შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისების შესახებ ინფორმაცია (წერილის №--),

ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის -- განკარგულებით მოწონებულ იქნა შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის წარმოდგენილი პირობებით ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია,

ვინაიდან, გამყიდველმა 2021 წლის --- გამოაცხადა შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის გაყიდვისა და ინვესტიციის განხორციელების თაობაზე ელექტრონული აუქციონი (eAuction),

ვინაიდან, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით, აუქციონის პირობების შესაბამისად, წარმოადგინა საგარანტიო თანხა (ბე) 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარის ოდენობით,

ვინაიდან, მყიდველმა 2021 წლის --- გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში ვაჭრობის გზით დააფიქსირა შპს ,,ჯორჯიან კარგოს‘‘ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის

ღირებულების ყველაზე მაღალ ოდენობა და ამავე დროს იკისრა სააუქციონო პირობებით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება და სრულად დაეთანხმა სააუქციონო პირობებსა და თანდართულ დოკუმენტებს,

ვინაიდან, აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონში გამარჯვებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის შესყიდვამდე, შპს „საქართველოს ფოსტას“ სრულად წარმოუდგინა სააუქციონო პირობებით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია და შესაბამისად, გამოცხადდა აუქციონში გამარჯვებულად,

ვინაიდან, სააუქციონო პირობების შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მყიდველმა შპს „საქართველოს ფოსტას“ წარუდგინა 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედებაც 30 დღით აღემატება აუქციონის პირობებით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას,

ვინაიდან, მყიდველს მიღებული აქვს ყველა ტიპის ნებართვა და უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებითა და სააუქციონო პირობებით დადგენილი წესით, უპირობოდ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები,

ვინაიდან, აუქციონში გამარჯვებული პირი სრულად ეთანხმება აუქციონის პირობებს და მასზე თანდართულ ყველა დოკუმენტს,

მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და ამავდროულად, ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ შეთანხმება სრულად და ნათლად გამოხატავს მათ ნამდვილ ნებას და სავალდებულოა შესასრულებლად თითოეული მხარისათვის.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ხელშეკრულების მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„მყიდველი“ ----------, წინამდებარე ხელშეკრულებაში ასევე მოხსენიებული როგორც „აუქციონში გამარჯვებული პირი“;

„გამყიდველი“ - შპს „საქართველოს ფოსტა“ (ს/ნ: 203836233), შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი;

„ხელშეკრულება“ - წინამდებარე წილის ნასყიდობის ხელშეკრულება;

„წილი“ – გამყიდველის საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილი;

„ნასყიდობის ფასი“ - აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში დაფიქსირებული თანხა, რომელიც მყიდველის გამარჯვებულად გამოცხადების ერთ-ერთი წინაპირობაა;

„ბე“ - ელექტრონულ აუქციონში (eAuction) მონაწილეობისათვის საგარანტიო თანხა (ბე) 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია საბანკო გარანტიის ან/და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

„საბანკო გარანტია“ – მყიდველის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამყიდველისათვის წარდგენილი არანაკლებ 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია;

„მყიდველის საბანკო ანგარიში“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-18 მუხლით განსაზღვრული მყიდველის საბანკო ანგარიში;

„გამყიდველის საბანკო ანგარიში“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-18 მუხლით განსაზღვრული გამყიდველის საბანკო ანგარიში;

„სააუქციონო პირობები“ - 2021 წლის -- გამოცხადებული შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის (eAuction) გზით გაყიდვის შესახებ სააუქციონო პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;

„წილის შესყიდვა“ - აუქციონში გამარჯვებული პირის შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ: 203836233) საკუთრებაში არსებული შპს „ჯორჯიან კარგოს“ (ს/ნ: 402155190) 51%-იანი წილის მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემა წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ნასყიდობის ფასი და გადახდის გრაფიკი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შპს„ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ფასი შეადგენს ---------- ლარს.

3.2 მყიდველის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ღირებულების უნაღდო ანგარიშსწორების წესით დაფარვა უნდა მოხდეს შემდეგი გრაფიკით:

3.2.1. მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაუხადოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

3.2.2. მყიდველი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუმეტეს 12 თვის ვადაში შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაუხადოს წილის ღირებულების დარჩენილი ოდენობა.

მუხლი 4. საინვესტიციო ვალდებულება

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, მყიდველი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვიდან 24 კალენდარული თვის განმავლობაში განახორციელოს შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიცია.

4.2 მყიდველი ვალდებულია შპს „ჯორჯიან კარგოს“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეიტანოს 200 000 (ორასი ათასი) ლარი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შპს „ჯორჯიან კარგოს“ ბიზნესის გამართვა და შეუფერხებელი ფუნქციონირება (მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის, ლიცენზიების/ნებართვების მოპოვების, სარეგისტრაციო და სხვა ხარჯების დაფარვის მიზნით).

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლით გათვალისწინებული თანხის შეტანის შემდეგ, დარჩენილი საინვესტიციო თანხის კაპიტალში შეტანის გრაფიკს განსაზღვრავს შპს „საქართველოს ფოსტა“. ამასთან, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მყიდველისათვის გრაფიკის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს მყიდველს საუქციონო პირობებით გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებისგან, შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლით განსაზღვრული თანხა ჩაითვლება მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 მუხლის შესაბამისად განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობაში.

4.5 მყიდველის მიერ საინვესტიციო თანხის შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანა არ გამოიწვევს მის საკუთრებაში არსებული 51%-იანი წილის ზრდას.

4.6 შპს „საქართველოს ფოსტასთან“ შეთანხმებით, მყიდველი უფლებამოსილია შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის ნაწილის ნაცვლად შეიტანოს მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, ავტო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ინვენტარი, რომელიც საჭიროა საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესისათვის. მატერიალური სახით განხორციელებული შენატანის ღირებულება (რომელიც განისაზღვრება აუდიტის შეფასებით, რომელსაც მინიჭებული აქვს აუდიტორის კვალიფიკაცია და რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორთა ვებ-გვერდზე განთავსებულ რეესტრში, როგორც სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი პირი), ჩაითვლება საინვესტიციო თანხის ნაწილში.

4.7 მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.6. მუხლით გათვალისწინებული აქტივის შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანა არ

გამოიწვევს მის საკუთრებაში არსებული 51%-იანი წილის ზრდას.

4.8 მყიდველის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია უნდა მოხმარდეს შპს „ჯორჯიან კარგოს“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ასევე შპს „ჯორჯიან კარგოს“ ბიზნესის გამართვას წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5. რეგისტრირებული შეზღუდვები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობებში არსებული ყველა პირობის შესრულებამდე, მყიდველის საკუთრებაში გადასულ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იან წილზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული იქნება შესაბამისი ვალდებულებები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში არსებული ვალდებულებების რეგისტრაცია გაუქმდება მყიდველის მიერ შესაბამისი ვალდებულების შესრულების შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადასტურებისთანავე. ამასთან, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ წერილობითი დადასტურება უნდა განხორციელდეს შესრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მუხლი 6. წილის გასხვისება და დაგირავება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებამდე, მყიდველის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის გასხვისების შემთხვევაში, აუცილებელია შპს „საქართველოს ფოსტის“ წინასწარი წერილობითი თანხმობა. ამასთანავე, წილის შემძენზე სრულად და უპირობოდ გადადის ის ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და სააუქციონო პირობებით.

6.2. მყიდველს შპს „საქართველოს ფოსტის“ თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება დააგირავოს მის საკუთრებაში გადასული შპს „ჯორჯიან კარგოს“ წილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მყიდველი მის საკუთრებაში არსებულ წილს აგირავებს იმ მიზნით, რომ მიიღოს ფინანსური სახსრები წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზების მიზნით. ასეთ შემთხვევაში წილის შესყიდვისათვის გათვალისწინებული თანხა ფინანსური სახსრების გამცემი პირის მიერ პირდაპირ ირიცხება შპს „საქართველოს ფოსტის“ საბანკო ანგარიშზე.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. და 6.2. მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის მისაღებად, მყიდველმა გამყიდველს უნდა წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია და შესაბამისი დასაბუთება, ხოლო გამყიდველმა თანხმობა ან უარი მყიდველს უნდა აცნობოს მყიდველის მიერ ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

მუხლი 7. წილის გამოსყიდვის უფლება

7.1. მყიდველი უფლებამოსილია გამოისყიდოს, ხოლო გამყიდველი ვალდებულია გაყიდოს მის საკუთრებაში დარჩენილი შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილი გამოსყიდვის დროს მისი საბაზრო ღირებულების შესაბამისად (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 მუხლის გათვალისწინებით), რაც დადგენილი იქნება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შერჩეული საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ. საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შერჩევა მოხდება ე.წ. „დიდი ოთხეულიდან“ (KPMG, PWC, Deloitte, EY). აუდიტორული შეფასების ხარჯებს დაფარავს მყიდველი. მყიდველს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის გამოსყიდვის უფლება (გამოსყიდვად მიიჩნევა მყიდველის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში) აქვს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვის დღიდან 5 წლის განმავლობაში.

7.2. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 მუხლის შესაბამისად შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის გამოსყიდვის უფლების რეალიზება არ ათავისუფლებს მას წინამდებარე წილის ნასყიდობის ხელშეკრულებითა და საუქციონო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან და გავლენას არ ახდენს მათი შეუსრულებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომაზე, მათ შორის, ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის მიმართ მე-11 მუხლით დადგენილი სანქციების დაკისრებაზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის გამოსყიდვის დროისათვის სრულად არ არის შესრულებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, შპს „ჯორჯიან კარგოს“ 49%-იანი წილის ნასყიდობის არსებით პირობად განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მათი დარღვევის შემთხვევაში ასევე ამოქმედდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლი და შპს „ჯორჯიან კარგოს“ 100%-იანი წილი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღირიცხება შპს „საქართველოს ფოსტის“ სახელზე. ასეთ შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ გადახდილი თანხა და სხვა ხარჯები, რაც მყიდველმა გაიღო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთვის, არ ბრუნდება და რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“.

მუხლი 8. დივიდენდის განაწილების წესი

8.1. მყიდველის მიერ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ღირებულების სრულად დაფარვამდე შპს „ჯორჯიან კარგოს“ დივიდენდის 100%-ს იღებს შპს „საქართველოს ფოსტა“. იმ წლიდან, როდესაც მყიდველი სრულად დაფარავს შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ღირებულებას, მას თავისი წილის პროპორციულად წარმოეშობა დივიდენდის მიღების უფლება.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.1. მუხლით განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემდეგ, შპს „ჯორჯიან კარგოს“ დივიდენდი ექვემდებარება სავალდებულო ყოველწლიურ განაწილებას საანგარიშო წლის მომდევნო წელს.

ამასთან, შპს „ჯორჯიან კარგოს“ პარტნიორების მიერ შესაძლოა ერთხმად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება დივიდენდის არგანაწილების თაობაზე.

მუხლი 9. წილზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

9.1. მხარეები წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფენ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის მესაკუთრედ მყიდველის რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. მყიდველი კისრულობს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში დაფაროს წილის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მყიდველმა უარი განაცხადა წინამდებარე ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციაზე, მას უბრუნდება საბანკო გარანტია, წინამდებარე ხელშეკრულება წყდება და შპს „საქართველოს ფოსტას“ რჩება მყიდველის მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე).

მუხლი 10. შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება

10.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ იღებს გამოუხმობ ვალდებულებას მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად, შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის შესყიდვიდან არაუგვიანეს 3 თვისა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედებების განხორციელება შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის ოპერირებისათვის საჭირო წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული უძრავ-მოძრავი ქონების შეტანის მიზნით (დანართში მოცემულია უძრავ-მოძრავი ქონება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (რომლის ღირებულება დადგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №000845121, №001398421 და №001803021 დასკვნების შესაბამისად), ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შპს „საქართველოს ფოსტამ“ შეიძინა ელექტრონული ტენდერის გზით და ასევე, გადაეცა დამფუძნებლის მიერ 2021 წელს, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს **7 365 919 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარს.** წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული ქონების ჩამონათვალი შესაძლოა დაკორექტირდეს გადაცემის დღისათვის არსებული მდგომარეობით. ამავე ვადაში შპს „საქართველოს ფოსტა“ ასევე უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში იმ მოძრავი ქონების შეტანას, რომელიც შესყიდულია ან შესყიდული იქნება საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესისათვის 2021 წლის 1 მაისიდან შპს „ჯორჯიან კარგოში“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის გადატანამდე. ამ მუხლის შესაბამისად, შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში შეტანილი ქონების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების დანართში მითითებული უძრავ-მოძრავი ქონების ამავე მუხლში მითითებული ჯამურ ღირებულებას 10%-ზე მეტად და არ უნდა იყოს მასზე 10%-ით ნაკლები.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ ვერ უზრუნველყოფს 10.1. მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ხოლო მყიდველს არ აქვს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით დადგენილი შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის პირველი შენატანი გადახდილი, მის მიერ პირველი შენატანის გადახდა გადავადდება იმ ვადით, რაც საჭირო იქნება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის, მაგრამ არაუმეტეს 60 დღისა.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 მუხლის მიუხედავად ვერ შეასრულებს ვალდებულებას, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს აუქციონის შედეგების გაუქმება და შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში მყიდველს უბრუნდება საბანკო გარანტია, მის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე) და სხვა თანხა, რაც მას გადახდილი აქვს შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ სააუქციონო პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში. ამასთან, მყიდველს არ წარმოეშობა გაწეული ხარჯების ანაზღაურების, პირგასამტეხლოს, თუ სხვა ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალის მოთხოვნის უფლება.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალი (დანართი) შპს „ჯორჯიან კარგოს“ კაპიტალში გადადის არსებულ მდგომარეობაში. აუქციონში გამარჯვების შემდეგ, მყიდველის მიერ პრეტენზიები ქონების მდგომარეობასთან დაკავშირებით არ მიიღება.

10.5. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ შპს „საქართველოს ფოსტა“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

10.5.1. საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესთან დაკავშირებული დასაქმებულების გადაყვანას შპს „ჯორჯიან კარგოში“;

10.5.2. შპს „ჯორჯიან კარგოსთვის“, საჭიროების შემთხვევაში, ახალი დასაქმებულებისა და მომსახურე პერსონალის აყვანას;

10.5.3. შპს „ჯორჯიან კარგოში“ საერთაშორისო გადაზიდვასთან და ლოგისტიკასთან დაკავშირებული ძირითადი საოპერაციო პროცესების გამართვას და ბიზნესის ოპერირებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებას. ამასთან, ამ მუხლის შესაბამისად შპს „ჯორჯიან კარგოში“ ბიზნესის გადატანამდე არსებული საერთაშორისო გადაზიდვასთან და ლოგისტიკასთან დაკავშირებული ყველა სახელშეკრულებო უფლება და ვალდებულება რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“.

10.6. შპს „საქართველოს ფოსტას“ საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის ბიზნესის მიმართულებით ამჟამად დასაქმებული ჰყავს 390 თანამშრომელი. მყიდველი უპირობოდ და გამოუხმობად აღიარებს და ეთანხმება, რომ შპს „საქართველოს ფოსტის“ გადაზიდვისა და ლოგისტიკის ბიზნესში დასაქმებული

390 თანამშრომელი სრულად დასაქმდება შპს „ჯორჯიან კარგოში“ შრომის ხელშეკრულებების იმავე პირობებითა და ვადით.

10.7. შპს „საქართველოს ფოსტა“, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულების 10.4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში. შპს „საქართველოს ფოსტა“ ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღნიშნული პროცესი დასრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 და 10.2 მუხლებით დადგენილ ვადებში. ამავდროულად, მყიდველი და შპს „საქართველოს ფოსტა“ წინასწარ გამოთქვამენ თანხმობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი არ დასრულდება წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 და 10.2 მუხლებით დადგენილ ვადებში, აღნიშნული არ განიხილება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ვალდებულების დარღვევად და შესაბამისად, არ წარმოშობს მყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას, გაწეული ხარჯების ანაზღაურების, თუ სხვა ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალის მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 11. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება ამ მუხლით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

11.2. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და სააუქციონო პირობებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულების გრაფიკის, მათ შორის, საინვესტიციო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადამოსული ფულადი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ ფულადი ვალდებულება არ სრულდება ზედიზედ 3 თვის განმავლობაში, გამყიდველი უფლებამოსილია 3 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ცალმხრივად მიმართვის საფუძველზე, დაიბრუნოს საკუთრების უფლება მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემულ შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილზე. ამ შემთხვევაში მყიდველის მიერ გამყიდველისთვის გადახდილი თანხა და სხვა ხარჯები, რაც მან გაიღო წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისთვის, არ ბრუნდება და რჩება გამყიდველს.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების 11.3 მუხლში მითითებული გარემოებების დადგომა არ ათავისუფლებს მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი 11.2 მუხლით დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

11.5. წინამდებარე მუხლით დადგენილი სანქციები არ მოქმედებს ხელშეკრულების მე-

13 მუხლით (საბანკო გარანტია) გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 12. საგარანტიო თანხა (ბე)

12.1. სააუქციონო პირობების შესაბამისად, მყიდველს წარმოდგენილი აქვს/გადახდილი აქვს საგარანტიო თანხა (ბე) 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

12.2. მყიდველის მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი/წარმოდგენილი საგარანტიო თანხა (ბე) რჩება შპს „საქართველოს ფოსტას“ იმ შემთხვევაში, თუ:

12.2.1. მყიდველი უარს იტყვის შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე, წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად;

12.2.2. მყიდველთან შეწყდება შპს „ჯორჯიან კარგოს“ 51%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულების ან სააუქციონო პირობების რომელიმე დებულების დარღვევის საფუძველზე.

12.3. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი საგარანტიო თანხა (ბე) ჩაითვლება მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული წილის ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორებისას.

12.4. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის სახით წარმოდგენილი აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხა, მყიდველს უბრუნდება მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული წილის ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. საბანკო გარანტია

13.1. სააუქციონო პირობების შესაბამისად, მყიდველს წარმოდგენილი აქვს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობით.

13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ საბანკო გარანტია ექვემდებარება დაუყოვნებლივ სრულ განაღდებას იმ შემთხვევაში, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ მყიდველთან წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებას წინამდებარე ხელშეკრულების ან სააუქციონო პირობების დარღვევის გამო.

13.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ ასევე უფლებამოსილია საბანკო გარანტიით დაიკმაყოფილოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და სააუქციონო პირობების შესაბამისად მყიდველისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში განაღდებას ექვემდებარება მხოლოდ პირგასამტეხლოს თანხა.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 13.1. მუხლით განსაზღვრული საბანკო გარანტიის განაღდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საბანკო გარანტიის შევსება 800 000 (რვაასი ათასი) ლარამდე ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ

მყიდველი ვერ უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის შევსებას ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენას, შპს „საქართველოს ფოსტას“ წარმოეშვება უფლებამოსილება დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

13.5. მყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 13.1 მუხლით განსაზღვრული საბანკო გარანტია უკან უბრუნდება წილის ღირებულებისა და საინვესტიციო ვალდებულების სრულად შესრულების დღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა

14.1. მხარეების მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, მიუხედავად მათი ზეპირი ან წერილობითი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად.

14.2. გარდა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევისა:

14.2.1. არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გაანდოს ნებისმიერ პირს (უფლებამოსილი წარმომადგენლების გარდა) ხელშეკრულების პირობები, კომერციული საიდუმლოება, ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია ან გამოიყენოს ასეთი ტიპის ინფორმაცია იმ მიზნით, რაც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებასთან.

14.2.2. არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი აიძულოს, ან ნება დართოს ნებისმიერ პირს, იმისათვის რომ გააკეთოს საჯარო განცხადება, შეტყობინება ან აწარმოოს კომუნიკაცია, მეორე მხარის თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

14.3. აღნიშნული შეთანხმება კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც.

14.4. მხარე, რომელიც დაარღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ კონფიდენციალურობის ვალდებულებას, სრულად აანაზღაურებს ასეთი დარღვევით მიყენებულ ნებისმიერ ზიანს.

მუხლი 15. შეტყობინება/კომუნიკაცია

15.1. მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. მხარეს წერილობითი შეტყობინება შეიძლება მიეწოდოს პირადად ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და გაეგზავნოს საფოსტო გზავნილის მეშვეობით.

15.2. მხარეებს შორის კომუნიკაცია წარმოებს წინამდებარე ხელშეკრულების

რეკვიზიტებით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მისამართ(ებ)ზე ან/და ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

15.3. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურდება ადრესატის მიერ. თუ ადრესატის მიერ არ განხორციელდა შეტყობინების მიღების დადასტურება მიღებიდან 2 დღის ვადაში, მაშინ ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და ადრესატის მიერ მიღებულად წინამდებარე ხელშეკრულების 15.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.4. ნებისმიერ შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და ადრესატის მიერ მიღებულად წინამდებარე ხელშეკრულების 15.2. მუხლით განსაზღვრულ მხარის მისამართზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნისას, გაგზავნის დღიდან მე-5 სამუშაო დღეს, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი).

15.5. მხარე ვალდებულია აღნიშნული ელექტრონული ფოსტის ან მისამართ(ებ)ის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული კომუნიკაცია ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

მუხლი 16. დავის გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შემთხვევაში მხარეები იღებენ ვალდებულებას უპირველეს ყოვლისა დავა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ნებისმიერი სხვა ქვეყნის სასამართლოების გამორიცხვით.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის მიმართ გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი არის ქართული სამართალი.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

17.2. წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთა სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეებისათვის. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები გადასცეს ნებისმიერ სხვა მესამე პირს ამ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ასევე ინგლისურ ენაზე იმ პირობით, რომ პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტს), თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, მეორე – გამყიდველთან, ხოლო მესამე – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

გამყიდველი:
შპს „საქართველოს ფოსტა“;
ს/ნ: 203836233;
მისამართი: თბილისი, სადგურის მოედანი 2;
საბანკო ანგარიშის ნომერი:
ელექტრონული ფოსტა:

მყიდველი:
დასახელება:
ს/ნ:
მისამართი:
საბანკო ანგარიშის ნომერი:
ელექტრონული ფოსტა:

„გამყიდველი“	„მყიდველი“
შპს „საქართველოს ფოსტა“	
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)